

15/01/2025



MES 8 25 0000012337

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 20.12.2024

სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ

სხდომის დასრულების დრო: 18:30 სთ

საბჭოს თავმჯდომარე: თამარ ლომინაძე

საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27² მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. თამარ ლომინაძე - სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. გოჩა თუთხერიძე - შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. დავით ტეფნაძე - შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის“ დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. გიორგი ღაღანიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

5. თამარ ტუფინაშვილი – შპს „ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის“ აკადემიური განვითარების მიმართულების ხელმძღვანელი;
6. ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის დამფუძნებელი;
7. აკაკი ხელაძე – სსიპ – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი;
8. ციური დურული - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
9. თამარ ტუფინაშვილი – შპს „ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის“ აკადემიური განვითარების მიმართულების ხელმძღვანელი;
10. ქეთევან ქუთათელაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
11. ვასილ კიკუტაძე - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი;
12. დიანა მჭედლიშვილი – შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
13. ნინო ჭალაგანიძე - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
14. ქეთევან ნანობაშვილი – შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო სარჯველაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

- 1) გიორგი მახარაშვილი - პრორექტორი ადმინისტრაციის დარგში
- 2) სალომე კუჭუხიძე - პრორექტორი სასწავლო დარგში
- 3) ნინო ჯოჯუჯა - პრორექტორი ხარისხის დარგში
- 4) თეა კბილცეცხლაშვილი - პრორექტორი კვლევის დარგში
- 5) ანა გვრიტიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
- 6) დავით ცირამუა - სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი
- 7) მეთინ მერჯან - პროგრამის ხელმძღვანელი
- 8) მაია მელიქიძე - პროგრამის თანა-ხელმძღვანელი
- 9) დარა აჰმედ - ბიზნესის სკოლის დეკანი

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

1. ია შალამბერიძე- სამართლის პროგრამის ხელმძღვანელი, ასისტენტი.
2. მზია შავაძე- სამართალმცოდნეობისა და საჯარო მმართველობის ხელმძღვანელი, პროფესორი.
3. თემურ ტუნაძე- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, პროფესორი.

4. ნონა შუშანიძე- ჰემანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

5. ინეზა ფუტკარაძე-უსდს ადმინისტრაციის წარმომადგენელი.

აკრედიტაციის ექსპერტები

- მუჰამედ აბდულ რაუფი (Muhammad Abdul Rauf) (თავმჯდომარე);
- თეა კასრაძე (I საკითხი)
- თამარ კბილაძე (I საკითხი)
- სანდრო ტაბატაძე (I საკითხი)
- თამარი ხუციშვილი (I საკითხი)
- გიორგი მახაროზლიშვილი (II საკითხი)

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ თამარ ლომინაძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ფინანსების" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის განხილვა;
2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ფინანსების" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის განხილვა.
2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.

1. პირველი საკითხი:

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ფინანსების" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის განხილვა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადეს დიანა მჭედლიშვილმა და ქეთევან ნანობაშვილმა.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

საერთაშორისო ექსპერტი, მუჰამედ აბდულ რაუფი (Muhammad Abdul Rauf), მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი კონსტრუქციულ რეჟიმში წარიმართა. მისი თქმით, ექსპერტები გაეცნენ ყველა იმ დოკუმენტს, რომელიც დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი იყო. პირველი, მეორე, მესამე და მეხუთე სტანდარტი სრულად, ხოლო მეოთხე სტანდარტი ნაწილობრივ აკმაყოფილებს მოთხოვნებს. მან აღნიშნა, რომ ორივე პროგრამასთან დაკავშირებით, პირველ სტანდარტთან მიმართებით გაიცა ორი ზოგადი რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს. მისი თქმით, პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები უნდა გაუმჯობესდეს. დაწესებულებამ სტუდენტების პროგრესის ეფექტიანად შეფასების მიზნით უნდა შეიმუშაოს ისეთი მექანიზმი, რომელშიც გაწერილი იქნება ამ შეფასების სიხშირე და დრო. ერთ-ერთი რეკომენდაცია დაკავშირებული იყო სამიზნე ნიშნულებთან, კერძოდ, პროგრამაში უნდა დაემატოს პრაქტიკული ნაწილი. 1.4 სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაცია ეხებოდა კრედიტების გადახედვას, ხოლო 1.5 სტანდარტთან მიმართებით გაცემული რეკომენდაცია კი სტუდენტებისათვის რაოდენობრივი ანალიზი ჩატარების მოთხოვნას. მან აღნიშნა, რომ მეორე და მესამე სტანდარტის მიმართ არ გაცემულა რეკომენდაციები იმიტომ, რომ ისინი სრულად აკმაყოფილებდნენ მოთხოვნებს. მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულებამ აკადემიური და მოწვეული პერსონალის დასაბალანსებლად უნდა შეიმუშაოს გეგმა. ასევე პროგრამის მდგრადობის მიზნით აკადემიურ თანამდებობაზე აყვანილი უნდა იყოს უფრო მეტი სრულ შტატზე მომუშავე ადამიანი. გარდა ამისა, უნდა განხორციელდეს როგორც სამეცნიერო კვლევების, ისე ნაშრომების დოკუმენტირება და შეფასება. მეხუთე სტანდარტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ რეკომენდაციები არ გაცემულა მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობის გამო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

პრორექტორი, ნინო ჯოჯუა, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ საერთაშორისო ექსპერტმა აკრედიტაციის საბჭოს მოახსენა ის რეკომენდაციები, რომლებიც დასკვნის პროექტში იყო მოცემული. დაწესებულებამ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ ექსპერტებს გაუზიარა არგუმენტირებული პოზიცია. შესაბამისად, მათ გაითვალისწინეს უნივერსიტეტის განმარტება ორ რეკომენდაციასთან დაკავშირებით და 1.1 და 1.3 რეკომენდაცია დასკვნიდან ამოიღეს. მან აკრედიტაციის საბჭოს წევრებს თხოვნით მიმართა, რომ ეს ფაქტობრივი გარემოება გადაწყვეტილების მიღების დროს მხედველობაში მიეღოთ. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამაში სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. ექსპერტთა დასკვნის მიხედვით პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება დასაქმების მოთხოვნებს. მისი თქმით, სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მექანიზმი სრულ შესაბამისობაშია როგორც აკრედიტაციის სტანდარტებთან, ისე აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელოსთან. თითოეულ სწავლის შედეგთან მიმართებაში განსაზღვრულია ის სასწავლო კურსები, რომელთა მეშვეობითაც ხდება კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება. ასევე განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულები, შეფასების პერიოდულობა და ამ სასწავლო კურსებში რომელი შეფასების მეთოდით ხდება სწავლის შედეგის მიღწევა. გარდა ამისა, ამ დოკუმენტში მოცემულია როგორც შეფასების პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდები. ამ უკანასკნელთან მიმართებით აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შემუშავებულია შეფასების შესაბამისი კითხვარები. უნივერსიტეტში დანერგილი პრაქტიკაა დამამთავრებელი კურსის სტუდენტების მიერ პროგრამისა და მისი სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება. აღნიშნული კითხვარები უნივერსიტეტის ხარისხის შიდა მექანიზმების დებულების დანართებს წარმოადგენენ, რომლებიც გაზიარებული იქნა ექსპერტებისთვის. ასევე ამ დანართებში მოცემულია სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ახალი პროგრამების შეფასება. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ აღნიშნულ კითხვარებში მოცემულია კონკრეტულად სწავლის შედეგის მიღწევის შეფასებასთან დაკავშირებით კითხვა თითოეული ამ დაინტერესებული მხარის ჯგუფისადმი. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დებულებაში არის მეშვიდე მუხლი, რომელიც ეხება მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამებს, რომლებიც ახალ პროგრამებს წარმოადგენენ და სტუდენტები არ ჰყავთ, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ინსტრუმენტი გააჩნიათ. შესაბამისად, ამ რეკომენდაციას უნივერსიტეტი არ იზიარებს. 4.2 სტანდარტის რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის სამაგისტრო სწავლების დებულების მეთექვსმეტე მუხლით განსაზღვრულია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელად დანიშვნის მოთხოვნები. მისი თქმით, ხელმძღვანელობის უფლება აქვს დოქტორის აკადემიურ ხარისხის მქონე პირს, რომელსაც შესაბამის დასკვნაში უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ ერთი პუბლიკაცია. დაწესებულებაში არსებობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შეფასების მექანიზმი. სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები არიან უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი. შესაბამისად, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელები ვალდებული არიან, რომ წელიწადში ერთხელ წარმოადგინონ შესაბამისი ანგარიში საკუთარი სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. აღნიშნული ვალდებულება მოწვეულ პერსონალს აქვს ორ წელიწადში ერთხელ. თვითშეფასებების 50-ე გვერდზე ეს პროცესი დეტალურად არის გაწერილი. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დებულების დანართი ეხება აკადემიურ საქმიანობის ანგარიშს, რომლის წარმოდგენის ვალდებულება აქვს აკადემიურ პერსონალს. ანგარიშების წარმოდგენის შედეგად მიღებულ მონაცემებს რაოდენობრივად ამუშავებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და გაცემს შესაბამის რეკომენდაციებს. პრორექტორი კვლევის დარგში აანალიზებს თვისობრივ მონაცემებს შემდგომი განვითარების ღონისძიებების დასაგეგმად. შესაბამისად, ზემოთქმულიდან გამომდინარე, დაწესებულება არ იზიარებს ამ რეკომენდაციას და მას ფაქტობრივ უზუსტობად მიიჩნევს. მისი თქმით, იმ ეტაპზე, როდესაც ხდება სამაგისტრო ნაშრომის სათაურის და ხელმძღვანელის განსაზღვრა, სამაგისტრო

დებულების მეთერთმეტე მუხლი ამბობს, რომ პროგრამის ხელმძღვანელი პროგრამის დარგობრივ ჯგუფთან შეთანხმებით ამზადებს შესაძლო ხელმძღვანელების სიას მათი კვლევის სფეროს მითითებით. პროგრამის ხელმძღვანელსა და პროგრამის დარგობრივ ჯგუფს აქვს წვდომა სამეცნიერო ანგარიშების შეფასების რეკომენდაციებსა და ინფორმაციებზე და მათზე დაყრდნობით ადგენენ შესაძლო ხელმძღვანელების სიას. ამის შემდეგ სკოლა უზრუნველყოფს აღნიშნული სიის ხელმისაწვდომობას სამაგისტრო ნაშრომზე რეგისტრირებული სტუდენტებისათვის. ნინო ჯოჯუამ 4.1 სტანდარტის რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს მდგრადობისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამიზნე ნიშნულების დოკუმენტი, სადაც გაწერილია პროგრამის განხორციელებისა და მდგრადობისათვის საჭირო რაოდენობრივი თანაფარდობები. ასევე განსაზღვრულია სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს შორის თანაფარდობები. ეს თანაფარდობები პირდაპირ არის მიბმული სტუდენტების რაოდენობაზე. შესაბამისად, სტუდენტების რაოდენობის ზრდის გათვალისწინებით გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის რაოდენობის ზრდაც. ამრიგად, აღნიშნული თანაფარდობები სტუდენტების იმ დაგეგმილ მოცულობას, რომელიც ბიუჯეტით არის გათვალისწინებული, აკმაყოფილებს. ანა გვრიტიშვილმა პრაქტიკასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ექსპერტები დასკვნაში ამბობენ, რომ პრაქტიკა უნდა იყოს სავალდებულო, რადგან დარგობრივი მახასიათებელი ამას მოითხოვს. მისი თქმით, დაწესებულება ექსპერტთა ჯგუფის მხოლოდ იმ მოსაზრებას იზიარებს, რომ დარგობრივი მახასიათებლით პრაქტიკა სავალდებულოა. აღნიშნულ პროგრამებში პრაქტიკა სავალდებულოა იქიდან გამომდინარე, რომ ის ტექნიკურად არჩევით საგნების ბლოკში წერია. პროგრამის დამატებით მინიშნებებში არის ჩანაწერი, რომ სტუდენტი, რომელიც ვერ ადასტურებს ფინანსების მიმართულებით სამუშაო გამოცდილებას, მისთვის პრაქტიკის კომპონენტი არის სავალდებულო.

პროგრამების თანახმად, მაია მელიქიძემ განაცხადა, რომ დასკვნაში რამდენიმე საგანზე იყო გამახვილებული ყურადღება, რომელიც ძირითადად ეხებოდა „საბანკო მენეჯმენტის“ და „ფინანსური რეგულაციების“ გადატანას არჩევითიდან სავალდებულო საგნების ბლოკში. მისი თქმით, ეს უფრო რჩევის, ვიდრე რეკომენდაციის ხასიათს ატარებს, რადგან დაწესებულების მთავარი წერტილი არის ის, რომ უნივერსიტეტმა უნდა მოამზადოს ფინანსისტები, რომლებიც იმუშავენ საკუთარი პროფესიით არა მხოლოდ ბანკებში, არამედ სხვადასხვა ინსტიტუტებშიც. „საბანკო მენეჯმენტის“ გაძლიერება სავალდებულოს ჭრილში შეუთავსებელია, რადგან ის ადამიანები, რომლებიც ან მუშაობენ საბანკო, ან მერე აპირებენ ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელებას, არჩევითი საგნების ბლოკი მათ ამის საშუალებას ისედაც აძლევს. ფინანსურ ინსტიტუტებისა და ბაზრების საკითხები მოცემულია სხვა სასწავლო კურსებშიც. მწვანე ფინანსებისა და კრიპტოვალუტების ინტეგრაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მათი სწავლება იყო ზედნაშენი იმ ძალიან მყარი ცოდნისა, რასაც აძლევს ფინანსების პროგრამა. შესაბამისად, მათი აქტიური ინტეგრაცია პროგრამაში არ არის რელევანტური. დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანია დარგობრივი მახასიათებლის დაკმაყოფილება და იმ ბალავარი ცოდნის შექმნა, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია. სამაგისტრო პროგრამებზე ხშირად მოდიან სხვა კვალიფიკაციის მქონე პირები. შესაბამისად, ლექტორებს ხშირად უწევთ ძლიერი პროფესიონალების დაბალანსება სტუდენტისთვის ხარისხიანი განათლების მიცემის მიზნით.

მაია მელიქიძის თქმით, ბიზნესის რაოდენობრივი ანალიზი ითვალისწინებს ბიზნესის ხასიათის და ზოგადად ფინანსური პრობლემატიკისა და "ქეისების" გადაწყვეტას. ბიზნესის კვლევის მეთოდები და ბიზნესის რაოდენობრივი ანალიზი ვერ იქნება ერთმანეთის წინაპირობა იმიტომ, რომ ბიზნესის კვლევის მეთოდები ეს არის სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის მნიშვნელოვანი შემადგენელი კომპონენტი, ხოლო ბიზნესის რაოდენობრივი ანალიზი კი ბიზნესისა და ფინანსური გადაწყვეტილებების მომცემი სასწავლო კურსია. შესაბამისად, უკეთესი იქნება თუ ეს საგნები ისე დარჩება, როგორც პროგრამაშია წარმოდგენილი. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება სტუდენტებს

ასწავლის სამეცნიერო კვლევის და სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობრივი მეთოდების გამოყენების გარეშე წერას. შესაბამისად, ამ მიმართულებით უნივერსიტეტი პრობლემას ვერ ხედავს. მისი თქმით, „Fintech“-ის, ბლოკჩეინისა და კრიპტოვალუტის სასწავლო კურსები პროგრამას მომავალ წელს დაემატება არჩევითი კურსების სახით. აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის პოლიტიკა არის ის, რომ ერთი და იგივე პირი არ უნდა ასწავლიდეს საგანს როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის საფეხურზე. შესაბამისად, ამ მიმართულებით უნივერსიტეტი მუშაობს და პროგრამას ახლო მომავალში დაემატება როგორც ქართული, ისე უცხოელი პროფესორები. დაწესებულება აკადემიური პერსონალის მიმართ იყენებს წამახალისებელ ღონისძიებებს. მაგალითად, პროფესორს ეძლევა საშუალება საკუთარი სამეცნიერო ნაშრომები გამოაქვეყნონ ისეთ მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში, როგორიცაა „Scopus“-ი, „Web of Science“ და სხვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გოჩა თუთბერიძემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მან აღნიშნა, რომ სრულად იზიარებდა დაწესებულების პოზიციას იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ ბიზნესის რაოდენობრივი ანალიზი წინ უნდა უსწრებდეს კვლევის მეთოდებს იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი მოიცავს ორ ნაწილს, კერძოდ, თვისობრივ და რაოდენობრივ კვლევის მეთოდებს. რაოდენობრივი კვლევის მეთოდებში თავდაპირველად უნდა აიხსნას რას იყენებს მკვლევარი ბიზნესის კვლევისას. შესაბამისად, როდესაც ეს საკითხი ნათელი იქნება, მაშინ გაცილებით ადვილი იქნება ამ სასწავლო კურსის სწავლება. მას აინტერესებდა, რატომ თვლიდნენ ექსპერტები ამ რეკომენდაციის აუცილებლად გათვალისწინებას.

ექსპერტმა თეა კასრაძემ აღნიშნა, რომ რეკომენდაციის გაცემა გამოიწვია სასწავლო კურსების სილაბუსებმა და მათში გათვალისწინებულმა საკითხებმა. შესაბამისად, სტუდენტმა ჯერ უნდა ისწავლოს ბიზნესის რაოდენობრივი ანალიზი და შემდეგ კვლევის მეთოდები.

გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა, რომ ის ვერ დაეთანხმებოდა ამ პოზიციას, რადგან თვითონ ასწავლიდა „კვლევის მეთოდებს“ და როგორც პრაქტიკა აჩვენებდა „კვლევის მეთოდები“ საჭიროებდა წინაპირობად რაოდენობრივი ანალიზის ელემენტების ცოდნას. თუ ეს ასე არ იქნებოდა, მაშინ კვლევის მეთოდების პროფესორს თავიდან მოუწევდა სტუდენტისთვის აეხსნა ისეთი ელემენტარული მათემატიკური მოდულები, რომლებიც გამოიყენება კვლევაში.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას პროფესიულ პრაქტიკასთან დაკავშირებით. მისი თქმით, პროგრამაში ამ საკითხთან მიმართებით მოცემული იყო შემდეგი: „უნდა დაადასტუროს უნარები“. მას აინტერესებდა, რას გულისხმობდა აღნიშნული ჩანაწერი. მაგალითად, თუ სტუდენტი მოიტანდა ცნობას ბანკში მოლარედ მუშაობის შესახებ, მაშინ უნარი დადასტურებული იქნებოდა თუ არა.

პრორექტორმა, ნინო ჯოჯუამ აღნიშნა, რომ როდესაც სტუდენტი წარმოადგენს ინფორმაციას საკუთარი პროფესიული საქმიანობის შესახებ, პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი ერთად განიხილავს უნარის დადასტურების საკითხს. შესაბამისად, ასე კონკრეტულად გაწერილი არ არის რა პოზიციაზე უნდა მუშაობდეს სტუდენტი, რომ დაუდასტურდეს უნარი. დავით ცირამუამ განაცხადა, რომ იქიდან გამომდინარე, რომ პრაქტიკის კომპონენტს კარიერის დაგეგმვის სამსახური უწევს კოორდინირებას სკოლასთან თანამშრომლობით, როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო საფეხურზე შექმნილია პრაქტიკის განხორციელების წესი, რომლითაც დაშვებულია პრაქტიკის არ გავლა. რა თქმა უნდა, პერიოდი განსაზღვრულია და უნდა აკმაყოფილებდეს იმ საათების რაოდენობას, რასაც ითხოვს პრაქტიკის საგანი. უნარის დადასტურება არ მოხდება თუ სტუდენტი სატელეფონო გაყიდვებში მონაწილეობს, მოლარე ან ქოლ ცენტრის ოპერატორია და ა.შ. ამრიგად, თუ სტუდენტის სამუშაო აღწერილობა არ ითვალისწინებს იმ უნარების გამომუშავებას, რომლებიც პროგრამის სწავლის შედეგებით არის განსაზღვრული, სტუდენტს პრაქტიკა გავლილად არ ჩაეთვლება.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მისი თქმით, დასკვნაში მოცემული იყო შემდეგი რეკომენდაცია: „აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით პროგრამით გათვალისწინებული სხვადასხვა სასწავლო კურსის ფარგლებში ერთი ან ორი თემის სწავლება არ არის საკმარისი. შესაბამისად, პროგრამაში გათვალისწინებული უნდა იყოს ახალი სასწავლო კურსები, რომელთა ფარგლებშიც სტუდენტი სიღრმისეულად შეისწავლის საბანკო სისტემის, სადაზღვევო კომპანიების და სხვა ფინანსური ინსტიტუტების და ბაზრების საქმიანობას. არჩევითი საგნების კომპონენტებიდან შესაძლებელია ზოგიერთი სასწავლო კურსის გადატანა სავალდებულო საგნების კომპონენტში (მაგალითად, საბანკო მენეჯმენტი და ფინანსური რეგულაციები)“. მას აინტერესებდა, თუ დაწესებულებამ ეს რეკომენდაცია არ შეასრულა, მაშინ პროგრამა გავიდოდა თუ არა შედეგებზე.

ექსპერტმა თეა კასრაძემ აღნიშნა, რომ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელია შემდეგი სწავლის შედეგებზე გასვლა: „ახდენს ღრმა და სისტემურ ცოდნის დემონსტრირებას ფინანსების შემდეგ სფეროებში: ფინანსური სისტემა, ფინანსური ბაზრები და ინსტიტუტები, რისკები, ინვესტიციები, მენეჯმენტი და სტრატეგიები“. მისი თქმით, რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსში აღნიშნულიდან შეტანილია რამდენიმე საკითხი, რომელიც არ იძლევა ფინანსური ინსტიტუტების ღრმა ცოდნას.

საბჭოს წევრმა, ვასილ კიკუტაძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, როგორ ხდებოდა სტუდენტის მიერ პრაქტიკის ობიექტიდან წარმოდგენილი ცნობის შეფასება. დავით ცირამუამ აღნიშნა, რომ კრედიტად არ ეთვლებოდა ეს საგანი. აღნიშნული სასწავლო კურსი მოცემულია არჩევითი საგნების ჩამონათვალში. პროგრამაში წერია, რომ ამ არჩევითი საგნის გავლა იმ შემთხვევაშია სავალდებულო თუ პრაქტიკა სტუდენტს არ აქვს გავლილი. შესაბამისად, მისი გავლის შემთხვევაში მოხდება პრაქტიკის ობიექტიდან წარმოდგენილი ცნობის შეფასება.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ქუთათელაძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას „ფინანსებში“ თანამედროვე ტექნოლოგიების სწავლებასთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა, როგორი იყო დაწესებულების ხედვა ამ საკითხზე. პროგრამების თანახმლმდღვანელმა, მაია მელიქიძემ განაცხადა, რომ „Fintech“-თან დაკავშირებით დაწყებულია მუშაობა. მას შემდეგ, რაც ექსპერტთა ვიზიტი დასრულდა დაწესებულებაში, ამ საკითხზე დაიწყო სიღრმისეული მუშაობა. უნივერსიტეტს შეუძლია კრიპტოვალუტასთან მიმართებაში გარკვეული ლექციების ჩატარება, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ეს არ არის სანდო ვალუტა, ამჟამად დაწესებულება ლექციების ჩატარებისგან თავს შეიკავებს. ბლოკჩეინი მხოლოდ იუსტიციის სახლსა და ერთ კომპანიაშია დანერგილი. ამჟამად დაწესებულება ჯერ „Fintech“-ს, ხოლო შემდეგ „ბლოკჩეინს“ დანერგავს პროგრამაში. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ საგნების ძალიან დიდ ნაწილში მოცემულია ინფორმაცია საბანკო და ფინანსურ სისტემასთან დაკავშირებით. შესაბამისად, პროგრამა გადის იმ მაჩვენებელსა და მოთხოვნაზე, რომელიც დარგობრივი მახასიათებლით არის გათვალისწინებული. ასევე პროგრამაში ძალიან მნიშვნელოვანია „კიბერუსაფრთხოებისა“ და „ხელოვნური ინტელექტის“ სასწავლო კურსების არსებობა, თუმცა ამ კურსების განხორციელება დამოკიდებულია მაღალი კვალიფიკაციის მქონე პერსონალზე.

საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მისი თქმით, 1.2 ქვესტანდარტში ექსპერტები აღნიშნავენ, რომ პროგრამა აჩვენებს გარკვეულ შესაბამისობას 1-2 კომპონენტის მოთხოვნებთან, თუმცა პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება შესაბამის კვალიფიკაციის დონეს, დარგობრივ აღმწერებს და ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოზე დაფუძნებულ შესაბამის დარგობრივ მახასიათებლებს. ამის შემდეგ ექსპერტები გასცემენ რეკომენდაციას გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური სწავლის შედეგების შემუშავების შესახებ. მას აინტერესებდა, ეს რეკომენდაცია იყო თუ არა გაცემული გარკვეული შედეგების დაზუსტების მიზნით. საერთაშორისო ექსპერტმა, მუჰამედ აბდულ რაუფიმ (M Abdul Rauf) განაცხადა, რომ იზიარებდა ნინო ჯოჯუას მოსაზრებას იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ ექსპერტთა ჯგუფმა არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ დასკვნიდან 1.1 და 1.3 სტანდარტის რეკომენდაცია ამოიღო. 1.2 სტანდარტის რეკომენდაციასთან დაკავშირებით

აღნიშნა, რომ სასწავლო მიზნები უნდა იყოს უფრო სპეციფიკური, რეალისტური და მიღწევადი. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ეს რეკომენდაცია ძალაში დარჩა.

პრორექტორმა ნინო ჯოჯუამ აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა თუ ექსპერტთა ჯგუფი დააკონკრეტებდა იმ სწავლის შედეგებს, რომლებთან მიმართებითაც გაიცა ეს რეკომენდაცია. მისი თქმით, ექსპერტებმა სწავლის შეფასების მექანიზმები დადებითად შეაფასეს და ამ საკითხთან დაკავშირებით კითხვები არ ჰქონიათ. დაწესებულება ამ რეკომენდაციის გაცნობის შემდეგ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ეს რეკომენდაცია ეხებოდა არაპირდაპირი მეთოდების გამოყენების შესახებ მტკიცებულებების წარმოდგენას. უნივერსიტეტმა ექსპერტთა ჯგუფს გაუზიარა არაპირდაპირი მეთოდების გამოყენების შესახებ მტკიცებულებები. შესაბამისად, უნივერსიტეტი ფიქრობს, რომ ამ მიმართულებით პრობლემა არ დგას.

ანა გვრიტიშვილმა აღნიშნა, რომ აღწერილობით ნაწილში არაფერი ეწერა იმის შესახებ, თუ რომელი შედეგი უნდა შესწორებულიყო. მხოლოდ ეწერა ის, რომ თვითშეფასების ანგარიში არ მოიცავდა მტკიცებულებებს გაზომვის შესახებ. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ეს პროგრამები ახალი პროგრამებია და ამ პროგრამების სწავლის შედეგების გაზომვის შესახებ მტკიცებულებები ვერ იქნებოდა წარმოდგენილი.

საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მისი თქმით, ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი არის 8 კრედიტიანი. „კორპორაციული შეფასება და ანალიზის“ სასწავლო კურსი მოიცავს 10 კრედიტს. ამ საგნის შუალედური გამოცდა მოიცავს ხუთ პრაქტიკულ დავალებას. ცამეტი საშინაო დავალება ერთჯერადია. ასევე პროგრამაში მოცემულია პრობლემის გადაჭრა და მისი პრეზენტაცია. მას აინტერესებდა, რამდენად სწორად იყო კრედიტები მორგებული იმ სასწავლო მასალაზე ან აქტივობებზე, რომლებიც სასწავლო კურსით იყო გათვალისწინებული.

ექსპერტმა თეა კასრაძემ აღნიშნა, რომ დასკვნაში ამ საკითხთან დაკავშირებით ყურადღება გამახვილებულია. მისი თქმით, სავალდებულო იყო 8-10, ხოლო არჩევითი საგნები 5-6 კრედიტიანი. ექსპერტებმა დიდი განსხვავება ვერ დაინახეს 10 კრედიტიანსა და 5 კრედიტიან სასწავლო კურსებს შორის. მისი თქმით, პროგრამაში გარკვეული საგნები დასამატებელია და ამის შესრულება მარტივად შეიძლება განხორციელდეს, რა თქმა უნდა, კრედიტების გადასინჯვის ხარჯზე.

ნინო ჯოჯუამ აღნიშნა, რომ ბიზნესის მიმართულებით სამაგისტრო პროგრამების განხორციელების გამოცდილება უნივერსიტეტს აქვს. ამ პროგრამების სიახლე ის არის, რომ გასწორდა კვალიფიკაცია. აღნიშნული სასწავლო კურსების კრედიტების განსაზღვრა დაეყრდნო უნივერსიტეტის გამოცდილებას სასწავლო კურსების განხორციელებასთან მიმართებით. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ხდება სტუდენტების გამოკითხვა იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ რამდენად სწორად არის შედგენილი დატვირთვა. შესაბამისად, სასწავლო კურსებისათვის კრედიტების განსაზღვრა უსაფუძვლოდ არ ხდება.

საბჭოს წევრმა, გოჩა თუთბერიძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, „კორპორაციული შეფასება და ფინანსური ანალიზი“ და „ფინანსური აღრიცხვა მენეჯერებისათვის“ არის ერთი და იგივე შინაარსი მქონე სასწავლო კურსები. გარდა ამისა, 10 კრედიტი ეთმობა პირველ საგანს, რომელიც სავალდებულო სასწავლო კურსია, ხოლო მეორე საგანს, რომელიც არჩევითი საგანია, 5 კრედიტი მაშინ, როდესაც არჩევითი სასწავლო კურსი უფრო მეტ კრედიტს საჭიროებს, ვიდრე სავალდებულო. მას აინტერესებდა, რამ განაპირობა „ფინანსური აღრიცხვა მენეჯერებისათვის“ სასწავლო კურსის არსებობა არჩევით საგნების ჩამონათვალში.

პროგრამების თანახელმძღვანელმა, მაია მელიქიძემ აღნიშნა, რომ „კორპორაციული შეფასება და ფინანსური ანალიზი“ მოიცავს ბევრ პრაქტიკულ მაგალითს, რომლის შესრულება სტუდენტისთვის სავალდებულოა. იქიდან გამომდინარე, რომ პრაქტიკის კომპონენტი პროგრამებში აქტიურად არის წარმოჩენილი, სტუდენტების მხრიდან იყო მოთხოვნა, რომ ფინანსები უფრო სიღრმისეულად ესწავლათ. შესაბამისად, ამ მოთხოვნისა და იმ სირთულეების გათვალისწინებით, რომლებიც ამ საგანს ახლავს, კრედიტების ზრდა გამოიწვია.

მისი თქმით, პროგრამები ახალია და დაწესებულება ყოველთვის დაკვირვების პროცესში იქნება გამოვლენილი პრობლემების აღმოფხვრის მიზნით.

გოჩა თუთბერიძემ დააზუსტა, რომ სავალდებულო სასწავლო კურსის სათაური არა „კორპორაციული შეფასება და ფინანსური ანალიზი“, არამედ იყო - „კორპორაციული ანგარიშგება“ იყო.

პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ „ფინანსური აღრიცხვა მენეჯერებისათვის“ განკუთვნილი იყო არა იმ ცოდნის სწავლებისათვის თუ სტუდენტს როგორ უნდა ესწავლა ბუღალტრული აღრიცხვა და მისი წარმოება არამედ როგორ უნდა წაეკითხა. მისი თქმით, ეს სასწავლო კურსი არჩევითი საგნების ჩამონათვალში დაემატა ბიზნესის კვალიფიკაციის არმქონე პირებისათვის, რადგან დიდია ალბათობა იმის, რომ პროგრამაზე მოვიდეს სხვა კვალიფიკაციის მქონე ადამიანი.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ლომინაძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებასთან დაკავშირებით. მისი თქმით, არგუმენტირებულ პოზიციაში ნათქვამია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება ორი სასწავლო კურსით, კერძოდ, „საბაკალავრო ნაშრომითა“ და „პრაქტიკით“. ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს ძირითად საგანს. მას აინტერესებდა, რამდენად სწორი იყო საგანმანათლებლო სწავლის შედეგების შესაფასებლად არჩევითი საგნის გამოყენება.

დავით ცირამუამ აღნიშნა, რომ სწავლის შედეგების მიღწევაში არ მონაწილეობდა არჩევითი სასწავლო კურსები. პრორექტორმა, ნინო ჯოჯუამ განაცხადა, რომ სწავლის შედეგების შეფასების ძირითადი სასწავლო კურსი „სამაგისტრო ნაშრომი“ მოიცავდა ყველა სწავლის შედეგს, რომელიც მესამე დონით („განმტკიცების დონით“) იფარებოდა. ის სტუდენტი, რომელიც პრაქტიკის კომპონენტს გაივლის, ამ პრაქტიკით მიღებული შედეგები მნიშვნელოვანი იქნება სწავლის შედეგების მიღწევისთვის.

ანა გვრიტიშვილმა აღნიშნა, რომ „პრაქტიკა“ არის სავალდებულო გარდა იმ სტუდენტებისა, რომლებიც მუშაობენ. დამატებით ინფორმაციაში, კერძოდ, სწავლების ორგანიზების თავისებურებებში არის ჩანაწერი, რომ პრაქტიკა სავალდებულოა მათთვის, ვინც ვერ ადასტურებს დადგენილი კრიტერიუმებით მის გასვლას. შესაბამისად, „პრაქტიკა“ არ არის არჩევითი საგანი, ის არის დამხმარე საშუალება მათთვის, ვისთვისაც ეს სავალდებულოდ გასავლელი იქნება.

თამარ ლომინაძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, როგორ ახდენდა უნივერსიტეტი იმის შემოწმებას, რომ პრაქტიკის გავლისას სტუდენტმა ნამდვილად შეიძინა ის ცოდნა და უნარები, რომლებიც პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებით იყო განსაზღვრული.

დავით ცირამუამ განაცხადა, რომ წარმოდგენილი ცნობის ჩათვლა არ ხდებოდა. სტუდენტმა გარდა ამ დოკუმენტისა უნდა წარმოადგინოს შრომითი ხელშეკრულების შრომითი აღწერილობა, რომლის მეშვეობითაც დგინდება ნამდვილად შეიძინა თუ არა სტუდენტმა ის ცოდნა და უნარები, რომლებიც პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებით იყო განსაზღვრული.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:34

დასრულების დრო: 17:25

პროგრამა 1:

აკრედიტაციის საბჭომ, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო დოკუმენტაციის შეფასების და ზეპირი მოსმენის დროს გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე, პირველი სტანდარტის 1.3 კომპონენტში დაამატა რეკომენდაცია, შედეგად, აკრედიტაციის პირველი სტანდარტის 1.3 კომპონენტი, ნაცვლად

„შესაბამისია მოთხოვნებთან“, შეაფასა, როგორც „მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან“, ხოლო, პირველი სტანდარტის 1.4 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან“. ასევე, 5.1 კომპონენტში დაამატა რეკომენდაცია, შედეგად, აკრედიტაციის სტანდარტის 5.1 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისია მოთხოვნებთან“, შეაფასა, როგორც „მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან“. აღნიშნულ ცვლილებებს არ გამოუწვევია პირველი და მეხუთე სტანდარტების შეფასების ცვლილება.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ფინანსების" ქართულენოვანი სამაგისტრო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“¹ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ფინანსების" ქართულენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

პროგრამას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური სწავლის შედეგების შემუშავება იმის უზრუნველსაყოფად, თუ როგორ ფასდება ან იზომება აღნიშნული შედეგები. აღნიშნული მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ პროგრამის ფარგლებში ეფექტურად შეფასდეს სტუდენტების პროგრესი და დასახული შედეგების მიღწევა (1.2);

რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას გათვალისწინებული იქნას მხოლოდ ძირითადი სასწავლო კურსები (1.3);

რეკომენდებულია, კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები შეესაბამებოდეს ფინანსების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს. კერძოდ, ფინანსების დარგობრივი მახასიათებლით და პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად, რეკომენდებულია პროგრამებს დაემატოს დარგის ზოგიერთი ძირითადი, სავალდებულო სასწავლო კურსი(1.4);

რეკომენდებულია, პროგრამაში გადაიხედოს და გასწორდეს სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა მათ შორის საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით(1.4);

რეკომენდებულია, სტრატეგიული გეგმის შემუშავება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსის გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს სრულ განაკვეთზე მომუშავე მეტი აკადემიური პერსონალის დაქირავებას ან არსებული პერსონალის როლების კორექტირებას პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით (4.1);

რეკომენდებულია, ხელმძღვანელების უახლესი კვლევითი საქმიანობის და გამოქვეყნებების რეგულარული შეფასების და დოკუმენტირების მიზნით ჩამოყალიბდეს უფრო მკაცრი სისტემა. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს ხელმძღვანელების კვლევითი შედეგების ყოველწლიურ მიმოხილვას და მათი შესაბამისობის შეფასებას ფინანსების სფეროში არსებულ თანამედროვე ტენდენციებთან მიმართებით (4.2);

რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით შემოწმდეს პროგრამის დასრულებული პროექტის შინაარსობრივი (მაგ., სწავლის შედეგები და მათი გაზომვადობა, პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა, სხვ.) მხარე, რაც შექმნის პროგრამის დამტკიცების ეტაპზევე სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურების შესაძლებლობას (5.1).

რჩევები:

სასურველია, ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება მიმდინარე ტენდენციებზე და საჭიროებებზე უფრო კონკრეტული მითითებებით. (1.1)

სასურველია, საერთაშორისო ბიზნესის პერსპექტივების და გლობალური ბაზრის საკითხების უფრო ძლიერად გათვალისწინება, რაც გააუმჯობესებს პროგრამის მიზნების აღნიშნულ ასპექტს. (1.1)

მიუხედავად იმისა, რომ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს გააჩნია სხვადასხვა და მრავალფეროვანი გამოკითხვები, ისინი არ არის ყოვლისმომცველი და სათანადოდ გაანალიზებული. სასურველია, დაინერგოს დაინტერესებულ მხარეებთან რეგულარული ურთიერთობის ფორმალური, დოკუმენტირებული პროცესი, მათ შორის ყოველწლიური გამოკითხვების ან ფოკუს ჯგუფების ჩატარება დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან და დარგის ექსპერტებთან. აღნიშნული პროცესი მკაფიოდ უნდა აღწერდეს, თუ როგორ ხორციელდება დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების გათვალისწინება სწავლის შედეგების და პროგრამის შინაარსის დახვეწაში. მიუხედავად იმისა, რომ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს და ახორციელებს სხვადასხვა გამოკითხვას, ისინი არ არის ყოვლისმომცველი. (1.2)

სასურველია პროგრამისთვის სამიზნე ნიშნულების დადგენის და გადახედვის უფრო მკაცრი მიდგომის ჩამოყალიბება. სასურველია, შემუშავდეს პროგრამების შედარების სისტემური პროცესი ფინანსების მიმართულების წამყვან საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამებთან და მათი რეგულარული განახლება ინდუსტრიის ტენდენციების და კურსდამთავრებულების მიღწევების გათვალისწინებით. (1.3)

სასურველია, სასწავლო კურსების ჩამონათვალს, თუნდაც არჩევითი საგნების კომპონენტში დაემატოს ფინანსების სფეროში ახლად განვითარებული მიმართულებების ინოვაციური კურსები, როგორიცაა ფინტეკი, ბლოკჩეინი, კრიპტოვალუტები, მწვანე ფინანსები და ა.შ. აღნიშნული პროგრამის სტუდენტებს დაეხმარება გაეცნონ ფინანსური ინოვაციების და ტექნოლოგიების თანამედროვე ტენდენციებს. (1.4)

სასურველია, ორგანიზაციებთან გაფორმებულ მემორანდუმებში და ხელშეკრულებებში დაზუსტდეს სტუდენტების რაოდენობა, რომელთა მიღებაც შეეძლება ორგანიზაციას. (2.2)

სასურველია, ფაკულტეტმა შეიმუშაოს სტრატეგია სწავლებასა და კვლევაში ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენების რეგულირების შესახებ. (2.3)

სასურველია, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა ჩაატაროს აკადემიური კეთილსინდისიერების და პლაგიატის საწინააღმდეგო პროექტები და კამპანიები, აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით სტუდენტების ცნობიერების ამაღლების მიზნით. (2.4)

სასურველია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს ძალისხმევა გაცვლით პროგრამებში სტუდენტების უფრო აქტიურად ჩასართავად. (3.1)

სასურველია, უნივერსიტეტმა გააკონტროლოს ხელმძღვანელების შეფასების პროცესი იმისათვის, რომ უზრუნველყოს სტუდენტების მიერ უკუკავშირის ფორმების შევსება და ხელმძღვანელების მიერ როგორც დადებითი, ისე უარყოფითი უკუკავშირის მიღება. (3.2)

სასურველია, გადაიხედოს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის სამუშაო დატვირთვის განაწილება. გასათვალისწინებელია საერთო სამუშაო დატვირთვის შემცირება სწავლების და კვლევითი შედეგების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, განსაკუთრებით მაღალრეიტინგულ რეცენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნების თვალსაზრისით. (4.1)

სასურველია, განხორციელდეს ნაშრომის ხელმძღვანელების სამუშაო დატვირთვის სრული ანალიზი, სტუდენტების რაოდენობის, კვლევითი თემების სირთულის და სხვა აკადემიური პასუხისმგებლობების გათვალისწინებით. აღნიშნული ანალიზი დაწესებულებას დაეხმარება ხელმძღვანელების შესაფერისი რაოდენობის და ხელმძღვანელობის მოვალეობების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. (4.2)

სასურველია, შემუშავდეს უფრო ყოვლისმომცველი შეფასების სისტემა, რომელიც ერთმანეთთან მკაფიოდ დააკავშირებს შეფასების შედეგებს, პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს და კარიერულ განვითარებას. (4.3)

სასურველია, შემუშავდეს მკაფიო სისტემა იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყენება შეფასების შედეგები პერსონალის დაწინაურებისთვის ან განვითარებისთვის. (4.3)

სასურველია, შემუშავდეს სტრუქტურირებული ტრენინგ პროგრამა პერსონალისთვის ელექტრონული და დისტანციური სწავლების მეთოდოლოგიებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული უნარები სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება უმაღლეს განათლებაში. (4.3)

სასურველია თვითშეფასების პროცესის რეალური ფუნქციონირების და ინკლუზიურობის უზრუნველყოფის მიზნით, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები პირდაპირ იყვნენ წარმოდგენილნი, როგორც თვითშეფასების ჯგუფის წევრები. (5.1)

სასურველია, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის თანმიმდევრულობის უზრუნველყოფის მიზნით, თვითშეფასების ანგარიშში გაანალიზებული და განხილული იყოს შავის ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული გამოკითხვების ანგარიშები. (5.1)

სასურველია, გარე ხარისხის უზრუნველყოფის გამჭვირვალე, ეფექტური და ყოვლისმომცველი პროცესის უზრუნველყოფის მიზნით, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად მონაწილეობდეს პროცესში, მათ შორის გარე შეფასების შედეგებზე დაფუძნებული დოკუმენტის მომზადებაში. (5.2)

პროგრამა 2:

აკრედიტაციის საბჭომ, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო დოკუმენტაციის შეფასების და ზეპირი მოსმენის დროს გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე, პირველი სტანდარტის 1.3 კომპონენტში დაამატა რეკომენდაცია, შედეგად, აკრედიტაციის პირველი სტანდარტის 1.3 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისია მოთხოვნებთან“, შეაფასა, როგორც „მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან“, ხოლო, პირველი სტანდარტის 1.4 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან“. ასევე, 5.1 კომპონენტში დაამატა რეკომენდაცია, შედეგად, აკრედიტაციის სტანდარტის 5.1 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისია მოთხოვნებთან“, შეაფასა, როგორც „მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან“. აღნიშნულ ცვლილებებს არ გამოუწვევია პირველი და მეხუთე სტანდარტების შეფასების ცვლილება.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ფინანსების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“¹ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ფინანსების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

პროგრამას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური სწავლის შედეგების შემუშავება იმის უზრუნველსაყოფად, თუ როგორ ფასდება ან იზომება აღნიშნული შედეგები. აღნიშნული მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ პროგრამის ფარგლებში ეფექტურად შეფასდეს სტუდენტების პროგრესი და დასახული შედეგების მიღწევა (1.2);

რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას გათვალისწინებული იქნას მხოლოდ ძირითადი სასწავლო კურსები (1.3);

რეკომენდებულია, კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები შეესაბამებოდეს ფინანსების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს. კერძოდ, ფინანსების დარგობრივი მახასიათებლით და პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად, რეკომენდებულია პროგრამებს დაემატოს დარგის ზოგიერთი ძირითადი, სავალდებულო სასწავლო კურსი (1.4);

რეკომენდებულია, პროგრამაში გადაიხედოს და დაკორექტირდეს სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა მათ შორის საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით (1.4);

რეკომენდებულია, სტრატეგიის შემუშავება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსის გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს სრულ განაკვეთზე მომუშავე მეტი აკადემიური პერსონალის დაქირავებას ან არსებული პერსონალის როლების კორექტირებას პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით (4.1);

რეკომენდებულია, ხელმძღვანელების უახლესი კვლევითი საქმიანობის და გამოქვეყნებების რეგულარული შეფასების და დოკუმენტირების მიზნით ჩამოყალიბდეს უფრო მკაცრი სისტემა. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს ხელმძღვანელების კვლევითი შედეგების ყოველწლიურ მიმოხილვას და მათი შესაბამისობის შეფასებას ფინანსების სფეროში არსებულ თანამედროვე ტენდენციებთან მიმართებით (4.2);

რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით შემოწმდეს პროგრამის დასრულებული პროექტის შინაარსობრივი (მაგ., სწავლის შედეგები და მათი გაზომვადობა, პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა, სხვ.) მხარე, რაც შექმნის პროგრამის დამტკიცების ეტაპზევე სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურების შესაძლებლობას (5.1).

რჩევები:

სასურველია, ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება მიმდინარე ტენდენციებზე და საჭიროებებზე უფრო კონკრეტული მითითებებით. (1.1)

სასურველია, საერთაშორისო ბიზნესის პერსპექტივების და გლობალური ბაზრის საკითხების უფრო ძლიერად გათვალისწინება, რაც გააუმჯობესებს პროგრამის მიზნების აღნიშნულ ასპექტს. (1.1)

მიუხედავად იმისა, რომ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს გააჩნია სხვადასხვა და მრავალფეროვანი გამოკითხვები, ისინი არ არის ყოვლისმომცველი და სათანადოდ გაანალიზებული. სასურველია, დაინერგოს დაინტერესებულ მხარეებთან რეგულარული ურთიერთობის ფორმალური, დოკუმენტირებული პროცესი, მათ შორის ყოველწლიური გამოკითხვების ან ფოკუს ჯგუფების ჩატარება დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან და დარგის ექსპერტებთან. აღნიშნული პროცესი მკაფიოდ უნდა აღწერდეს, თუ როგორ ხორციელდება დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების გათვალისწინება სწავლის შედეგების და პროგრამის შინაარსის დახვეწაში. მიუხედავად იმისა, რომ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს და ახორციელებს სხვადასხვა გამოკითხვას, ისინი არ არის ყოვლისმომცველი. (1.2)

სასურველია პროგრამისთვის სამიზნე ნიშნულების დადგენის და გადახედვის უფრო მკაცრი მიდგომის ჩამოყალიბება. სასურველია, შემუშავდეს პროგრამების შედარების სისტემური პროცესი ფინანსების მიმართულების წამყვან საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამებთან და მათი რეგულარული განახლება ინდუსტრიის ტენდენციების და კურსდამთავრებულების მიღწევების გათვალისწინებით. (1.3)

სასურველია, სასწავლო კურსების ჩამონათვალს, თუნდაც არჩევითი საგნების კომპონენტში დაემატოს ფინანსების სფეროში ახლად განვითარებული მიმართულებების ინოვაციური კურსები, როგორიცაა ფინტეკი, ბლოკჩეინი, კრიპტოვალუტები, მწვანე ფინანსები და ა.შ. აღნიშნული პროგრამის სტუდენტებს დაეხმარება გაეცნონ ფინანსური ინოვაციების და ტექნოლოგიების თანამედროვე ტენდენციებს. (1.4)

სასურველია, ორგანიზაციებთან გაფორმებულ მემორანდუმებში და ხელშეკრულებებში დაზუსტდეს სტუდენტების რაოდენობა, რომელთა მიღებაც შეეძლება ორგანიზაციას. (2.2)

სასურველია, ფაკულტეტმა შეიმუშაოს სტრატეგია სწავლებასა და კვლევაში ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენების რეგულირების შესახებ. (2.3)

სასურველია, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა ჩაატაროს აკადემიური კეთილსინდისიერების და პლაგიატის საწინააღმდეგო პროექტები და კამპანიები, აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით სტუდენტების ცნობიერების ამაღლების მიზნით. (2.4)

სასურველია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს ძალისხმევა გაცვლით პროგრამებში სტუდენტების უფრო აქტიურად ჩასართავად. (3.1)

სასურველია, უნივერსიტეტმა გააკონტროლოს ხელმძღვანელების შეფასების პროცესი იმისათვის, რომ უზრუნველყოს სტუდენტების მიერ უკუკავშირის ფორმების შევსება და ხელმძღვანელების მიერ როგორც დადებითი, ისე უარყოფითი უკუკავშირის მიღება. (3.2)

სასურველია, გადაიხედოს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის სამუშაო დატვირთვის განაწილება. გასათვალისწინებელია საერთო სამუშაო დატვირთვის შემცირება სწავლების და კვლევითი შედეგების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, განსაკუთრებით მაღალრეიტინგულ რეცენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნების თვალსაზრისით. (4.1)

სასურველია, განხორციელდეს ნაშრომის ხელმძღვანელების სამუშაო დატვირთვის სრული ანალიზი, სტუდენტების რაოდენობის, კვლევითი თემების სირთულის და სხვა აკადემიური პასუხისმგებლობების გათვალისწინებით. აღნიშნული ანალიზი დაწესებულებას დაეხმარება ხელმძღვანელების შესაფერისი რაოდენობის და ხელმძღვანელობის მოვალეობების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. (4.2) ს

სასურველია, შემუშავდეს უფრო ყოვლისმომცველი შეფასების სისტემა, რომელიც ერთმანეთთან მკაფიოდ დააკავშირებს შეფასების შედეგებს, პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს და კარიერულ განვითარებას. (4.3)

სასურველია, შემუშავდეს მკაფიო სისტემა იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყენება შეფასების შედეგები პერსონალის დაწინაურებისთვის ან განვითარებისთვის. (4.3)

სასურველია, შემუშავდეს სტრუქტურირებული ტრენინგ პროგრამა პერსონალისთვის ელექტრონული და დისტანციური სწავლების მეთოდოლოგიებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული უნარები სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება უმაღლეს განათლებაში. (4.3)

სასურველია თვითშეფასების პროცესის რეალური ფუნქციონირების და ინკლუზიურობის უზრუნველყოფის მიზნით, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები პირდაპირ იყვნენ წარმოდგენილნი, როგორც თვითშეფასების ჯგუფის წევრები. (5.1)

სასურველია, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის თანმიმდევრულობის უზრუნველყოფის მიზნით, თვითშეფასების ანგარიშში გაანალიზებული და განხილული იყოს შავის ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული გამოკითხვების ანგარიშები. (5.1)

სასურველია, გარე ხარისხის უზრუნველყოფის გამჭვირვალე, ეფექტური და ყოვლისმომცველი პროცესის უზრუნველყოფის მიზნით, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად მონაწილეობდეს პროცესში, მათ შორის გარე შეფასების შედეგებზე დაფუძნებული დოკუმენტის მომზადებაში. (5.2)

2. მეორე საკითხი: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - სამართალი

საფეხური - ბაკალავრიატი

სწავლების ენა - ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - სამართლის ბაკალავრი

დეტალური სფეროს კოდი - 0421 - სამართალი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი გიორგი მახარობლიშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ პროგრამის მიმართ ექსპერტთა ჯგუფის და აკრედიტაციის საბჭოს მიერ ჯამში 15 რეკომენდაცია გაიცა, რომლის შესრულების შეფასება განხორციელდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე. მისი თქმით, პირველი რეკომენდაცია ეხებოდა 12 მიზნის გადახედვას მისი რეალურობისა და მიღწევადობის თვალსაზრისით. დაწესებულებამ არ მიიჩნია ამ მიზნების შემდგომი დაკორექტირება. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია უნივერსიტეტმა არ შეასრულა. მეორე რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის შემდგომი განვითარების უზრუნველყოფას. მისი თქმით, დაწესებულებამ ამ მიმართულებით განხორციელა ცვლილებები და დაგეგმა გარკვეული აქტივობები. შესაბამისად, ეს რეკომენდაცია უნივერსიტეტმა ნაწილობრივ გაითვალისწინა. მესამე რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამაში ინტერნაციონალიზაციის ძირითადი საკითხების გათვალისწინებას, რათა გაუმჯობესებულიყო პროგრამის მიმზიდველობა და კონკურენტუნარიანობა. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ წარმოდგინა სხვადასხვა სასწავლო კურსში დამატებითი ლიტერატურის და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის შესახებ მტკიცებულება, რომელიც არ იყო საკმარისი რეკომენდაციის სრულად გათვალისწინებისთვის. შესაბამისად, ეს რეკომენდაცია ნაწილობრივ შეასრულა დაწესებულებამ. მეხუთე რეკომენდაცია, რომელიც სასწავლო კურსების პერიოდულად განახლებასა და გაუმჯობესებას ეხებოდა, მათ შორის ახალი გამოცემებითა და ონლაინ რესურსებით, უნივერსიტეტმა ნაწილობრივ გაითვალისწინა. მისი თქმით, დაწესებულებამ განაახლა გარკვეული სასწავლო კურსების ლიტერატურა. ლიტერატურაში დამატებით მიეთითა სხვა ძირითადი წყაროები. შესაბამისად, წინამდებარე რეკომენდაციის პირველი ნაწილი შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს. რაც შეეხება ამ რეკომენდაციის მეორე ნაწილს - ჩამოთვლილი წყაროების ხელმისაწვდომობა წარმოდგენილ სასწავლო კურსების ლიტერატურაში ნაკლებად მოიძებნება. მსგავს წყაროებზე ზოგადი ხელმისაწვდომობის შესაძლებლობის გათვალისწინებით, აღნიშნული რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს. მეექვსე რეკომენდაცია ეხებოდა მარტივი და ეფექტური გზების გამონახვას იმისათვის, რომ სტუდენტებს ჰქონოდათ წვდომა სამართლებრივ სიახლეებზე. მისი თქმით, დაწესებულებას ზოგადი ხელმისაწვდომობის ვებგვერდები აქვს წარმოდგენილი. შესაბამისად, ეს რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია. მეცამეტე რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა დეტალური გეგმის დანერგვას, რომელშიც გაიწერება საჭიროებები, შესაძლო აქტივობები და პასუხისმგებლობები, ასევე დროის განრიგი, დაფინანსების სასურველი ზრდის და ფინანსური აგენტების მოძიების კუთხით, რათა გაძლიერდეს პროგრამის ბიუჯეტი, ნაწილობრივ შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს. მისი თქმით, საუნივერსიტეტო ბიუჯეტიდან ფინანსდება აღნიშნული სამართლის საბაკალავრო პროგრამა. დაწესებულების მიერ აღნიშნულია, რომ ის სხვადასხვა საჭირო დაფინანსებას იღებს სამთავრობო უწყებებიდანაც. დაწესებულების მიერ რეკომენდაციის ძირითად არგუმენტად მხოლოდ ეს ორი ასპექტი არის წარმოდგენილი. უნივერსიტეტმა არ წარმოადგინა საჭიროებები, შესაძლო აქტივობები და პასუხისმგებლობები, ასევე დროის განრიგი, დაფინანსების სასურველი ზრდის და ფინანსური აგენტების მოძიების შესახებ დეტალური ინფორმაცია. შესაბამისად, ამან გამოიწვია რეკომენდაციის ნაწილობრივ შესრულებულად შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი, თემურ ტუნაძე, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული შრომისთვის. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სამართალი რეგულირებადი დარგია. მისი განხილვის დროს დიდი ყურადღება ეთმობა დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობას. პროგრამაში უფრო მეტად ნათელი რომ ყოფილიყო მიზნისა და შედეგების შესაბამისობა, 12 მიზნი დარჩა უცვლელი. მიზანში დაწესებულებას გამოუვიდა ფილოლოგიური ცვლილება იმიტომ, რომ შინაარსობრივი თვალსაზრისით მიზანში ცვლილებები ვერ განხორციელდებოდა დარგობრივი მახასიათებლიდან გამომდინარე. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ექსპერტი დასკვნაში არც შედეგების შეუსაბამობაზე საუბრობს დარგობრივი მახასიათებლებთან და არც შედეგის მიღწევადობა დაუყენებია ექვევებში, მაშინ დაწესებულების პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით რელევანტურია. მეორე და მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აკადემიური პერსონალის მიერ საკუთარი ნაშრომების რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნება და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა მუდმივი პროცესია. მისი თქმით, საუნივერსიტეტო დონეზე მოქმედებს პერსონალის შეფასების წესი, რომელიც ყველა საგანმანათლებლო პროგრამას ეხება და მოითხოვს მათ აქტიურობას აღნიშნული მიმართულებებით ყოველწლიურად. დაწესებულება ითვალისწინებს იმ რეკომენდაციას, რომელიც ეხებოდა ლიტერატურის ცალკეულ სილაბუსებში ვერ ასახვას. ეს შეიძლება ყოფილიყო ტექნიკური ხარვეზი. მეექვსე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულება სამართლებრივ საკითხებზე წვდომას ახორციელებს არა მხოლოდ ოფიციალურად ხელმისაწვდომი საიტებით, არამედ ლექტორების მიერ შემუშავებული მასალებითაც. 2025 წლისათვის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნება ხარჯები, რომლებიც კოდექსის პროგრამას მოხმარდება. მეცხრე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ თანაფარდობა სტუდენტებსა და პერსონალს შორის ერთი 2.4-თან არის, რომელიც მისაღები და დამაკმაყოფილებელია. ბიუჯეტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში უფასოდ ხორციელდება სასწავლო პროცესი. სტუდენტები სამჯერადი კვებით, ხოლო უცხოელი სტუდენტები უფასო საცხოვრებელი სახლებით არიან უზრუნველყოფილები. ექსპერტი აღნიშნავს, რომ არსებული ბიუჯეტით პროგრამა განხორციელებადია. დაწესებულება არ არის დამოკიდებული სტუდენტების გადასახადებზე. საპატრიარქო უნივერსიტეტის საჭიროებებს სრულად აკმაყოფილებს. ასევე მიმართვის შემთხვევაში უნივერსიტეტს ფულად დახმარებას უწევს როგორც ადგილობრივი, ისე მუნიციპალური ხელისუფლება. შესაბამისად, დაწესებულებისთვის გაუგებარია ექსპერტი რას გულისხმობს „დეტალურ გეგმაში“.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გოჩა თუთბერიძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რამდენად გამართლებული იყო უნივერსიტეტის მიდგომა რეკომენდაციების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თემურ ტუნაძემ განაცხადა, რომ დაწესებულებას მხოლოდ ორი რეკომენდაცია არ აქვს გათვალისწინებული. პირველი, რომელიც ეხება მიზნებს და მეორე, რომელიც ეხება დამატებითი ფინანსების მოზიდვის გეგმას.

გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა, რომ ასევე მეცხრე რეკომენდაცია არ იყო დაწესებულების მიერ შესრულებული. მისი თქმით, ამ რეკომენდაციის შესრულება არ იყო რამე სირთულესთან დაკავშირებული. უნივერსიტეტმა არ გაითვალისწინა ისეთი მნიშვნელოვანი რეკომენდაციები, რომლებიც ეხებოდა პირველ და მეოთხე სტანდარტს. გოჩა თუთბერიძემ კითხვით მიმართა ექსპერტს. მან აღნიშნა, რომ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექსპერტის მიერ გაკეთებულ არგუმენტაციას არ ეთანხმებოდა. მას აინტერესებდა, რამდენად რელევანტური იყო 12 მიზნის არსებობა ერთ პროგრამაში.

ექსპერტმა გიორგი მახარობლიშვილმა აღნიშნა, რომ ეს რეკომენდაცია გაცემული იყო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ. მისი თქმით, ძალიან რთულია 12 დასახული მიზნის მიღწევა ერთ პროგრამაში. როგორც წესი 3-4 მიზნის ფარგლებში უნდა იყოს ეს. შესაბამისად, ეს რეკომენდაცია არარელევანტურია დარგობრივ მახასიათებელთან მიზნების რაოდენობასთან მიმართებით.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ია შალამბერიძემ აღნიშნა, რომ ამ პროგრამამ სტატუსშეჩერებულ სტუდენტებს მისცა შესაძლებლობა, რომ პროგრამა წარმატებით დაემთავრებინათ. უნივერსიტეტის მიღწევა არის ის, რომ კურსდამთავრებულებს, დაწყებული საადვოკატო და დამთავრებული სამოსამართლო საკვალიფიკაციო გამოცდებით, ჩაბარებული აქვთ. ასევე კურსდამთავრებულების დიდი ნაწილი დასაქმებულია საჯარო სამსახურში. გარდა ამისა, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები სამაგისტრო გამოცდებს წარმატებით აბარებენ სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით. მისი თქმით, დაწესებულებამ პროგრამის სასწავლო კურსებში დაამატა ოთხი ინგლისურენოვანი ლიტერატურა ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის განვითარების მიზნით. უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმი ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკასთან, რაც იმას ნიშნავს, რომ სტუდენტს სამეცნიერო ბაზებზე ხელმისაწვდომობა აქვს. ასევე სტუდენტს საკასაციო სასამართლოს, პარლამენტის, საკანონმდებლო მაცნესა და ჟურნალ „მართლმსაჯულება და კანონზე“ აქვს ხელმისაწვდომობა. შესაბამისად, ვერცერთი სტუდენტი ვერ იტყვის იმას, რომ საკანონმდებლო სიახლეზე წვდომა არა აქვთ. ყველა სასწავლო სემესტრის დასრულების შემდგომ ტარდება გამოკითხვა უკუკავშირის მიღების მიზნით. მაგალითად, სტუდენტთა გამოკითხვით დადგინდა, რომ მათთვის მოქნილი არის ელექტრონულ ლიტერატურაზე წვდომა.

თემურ ტუნაძემ აღნიშნა, რომ თუ შედეგების მიღწევა ეჭვქვეშ არ დგას და შედეგები და მიზნები შესაბამისობაშია, მაშინ რატომ უნდა იყოს შეუძლებელი 12 მიზნის მიღწევა, დაწესებულებისთვის გაუგებარია, თუმცა უნივერსიტეტი კიდევ ერთხელ გადახედავს ამ საკითხს. ბიუჯეტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულება მომავალში შეიმუშავებს „დამატებითი რესურსების მოზიდვის გეგმას“ რეკომენდაციის შესრულების მიზნით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი არასდროს ამბობს რეკომენდაციების შესრულებაზე უარს. პერსონალთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულება ზრუნავს პერსონალის მოწვევაზე. ამ პროგრამის ფარგლებში მოწვეული იქნა ირაკლი შამათავა, რომელიც ჰიბრიდული სწავლებით ატარებს ლექცია-სემინარებს. მისი თქმით, დაწესებულებას თანხების მოზიდვის მიზნით კომუნიკაცია აქვს კერძო აგენტებთან. ბოლო სამი თვის განმავლობაში უნივერსიტეტმა მათგან მიიღო შემოწირულობები, რომლებიც გამოიხატა პროექტორების, კომპიუტერებისა და სხვა საჭირო ტექნიკის მიღებაში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:03

დასრულების დრო: 18:16

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "სამართლის" საბაკალავრო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14


წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27⁶ - ე მუხლის მე - 2¹¹ პუნქტის საფუძველზე, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დასრულდა 18:30 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლომინაძე თამარ

